სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

26 მარტი 2024

N 21/3113

შპს „ბახვი 2“-ს
მის: გიორგი ლეონიძის ქ. №2ა, სართული 3, ფართი №5
ელ. ფოსტა: info@bakhvi.com.ge

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1930 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ბახვისწყალზე შპს „ბახვი 2“-ის „ბახვი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ბეტონის კვანძის განთავსების ტერიტორია ზედდებაშია გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული №2 ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიასთან. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ნაწილი ფარავს გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ №3 ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიას. ვინაიდან, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სანაყაროების ადგილმდებარეობის ცვლილება გათვალისწინებული არ არის, დაზუსტებას საჭიროებს ბეტონის კვანძისა და სამშენებლო ბანაკის განთავსების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის მიხედვით, საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესაფასებლად გაყვანილ იქნა სამი შურფი, თუმცა, მითითებული არ არის თითოეული შურფის გაყვანის სიღრმე და კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაზე თანდართული shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წარმოდგენილი ტერიტორიიდან (14 142მ^2) 2 364 მ^2 ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, კერძოდ, ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოში. აღნიშნული 2 364 მ^2 ფართობიდან 2 340 მ^2 ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 26.24.14.143; 26.24.14.144; 26.24.14.133). სსიპ სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, 26.24.14.133 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე კომპანიას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება 4 წლისა და 11 თვის ვადით, ხე-ტყის ჭრით. დაზუსტებას საჭიროებს დანარჩენ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ ინფორმაცია და ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის ფართობი. ამასთან, დოკუმენტში (სურათი 3) წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკის განახლებული გეგმა, მასზე დატანილი ინფრასტრუქტურული ობიექტებით, რომელთა იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. შესაბამისად, აღნიშნული გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს მაღალი გარჩევადობით;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ბეტონის კვანძი მოეწყობა 5 800 $მ^2$ ფართობის მქონე ტერიტორიაზე (ს/კ: 26.24.14.141; 26.24.14.144; 26.24.14.143), თუმცა, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 5 621 $მ^2$-ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ბეტონის კვანძისა და მისი შემადგენელი/დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიის ფართობი, გეგმაზე დატანით. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ბეტონის კვანძისა და მისი შემადგენელი/დამხმარე ინფრასტრუქტურის განთავსების GPS კოორდინატები (shp ფაილებთან ერთად), ასევე, დაზუსტებას საჭიროებს მდ. ბახვისწყლიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში (სურათი 5) ბეტონის კვანძის განთავსებისათვის შერჩეული ტერიტორიის გეგმაზე, ბეტონის კვანძთან ერთად, დატანილია მილების დასაწყობების ადგილები. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, პროექტის მიზნებისთვის დაგეგმილია 3 სასაწყობე ტერიტორიის გამოყენება, სადაც გათვალისწინებულია სხვადასხვა მასალის, მათ შორის, მილსადენის მოსაწყობად საჭირო მილების დროებითი დასაწყობება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ბეტონის კვანძისათვის შერჩეულ ახალ ტერიტორიაზე მილების დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობის საჭიროების საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატები, ასევე, მოცემული უნდა იყოს ჩამდინარე წყლებში გაწმენდის შემდგომ არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი, კონკრეტული მაჩვენებლებით;
- სკრინინგის განცხადებაში ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკისა და ბეტონის კვანძის ტერიტორიებზე, სანიაღვრე წყლების დაბინძურების პოტენციური წყაროების გათვალისწინებით, მოცემული უნდა იყოს სანიაღვრე წყლების შესაძლო დაბინძურების შესახებ ინფორმაცია, ასევე, დაბინძურებული სანიაღვრე წყლების რაოდენობის და შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED